

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2371

ქ. ბათუმი, 12 ივლისი 2018 წ

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1827 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1827 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43-ე, 43¹, 43², 51³, 53³, 55-ე, 55², 125³ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 127¹ მუხლის მე-5 ნაწილით, 148 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 150-ე, 150¹, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 152-ე, 152², 153⁴, 159-ე, 159¹, 172⁶, 173⁵ და 179² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.“

ბ) ბრძანების მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77¹, 77², 103-ე, 107⁴, 114² მუხლის მე-6 ნაწილით, 119¹, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125³ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე, 135¹, 146¹, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 151² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.“

გ) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაევალოს ამ ბრძანების პირველი და მე-3 პუნქტით განსაზღვრულ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს (სამსახურის უფროსი) და იურიდიული პირების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს (დირექტორი, გენერალური დირექტორი) სამართლებრივი აქტით განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ვალდებული იქნებიან სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში დადგენილი წესით აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).“

2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1827 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 ივნისის №2304 ბრძანების მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი